

F 171
1979



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

**გრიკანაბათა
და
ინსტრუქციათა
ქრებული**

თბილისი
1979

სექტემბერი **№9** СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ**

ТВИЛИСИ
1979

საგარეოფილოს სსრ განათლების სამინისტრო
МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



ბრძანებულება და ინსტრუქციები

კ რ ე ბ უ ლ ი

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

№ 9

სექტემბერი—СЕНТЯБРЬ



საქართველოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის

10 აპრილის დადგენილება № 232

რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

F-4657

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართული ენა და ლიტერატურა კიდევ უფრო განვითარდა და აყვავდა. ქართულ ენაზე წარმოებს სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე საქმისწარმოება პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში. მილიონიანი ტირაჟით გამოდის ჟურნალ-გაზეთები, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, წარმოებს ტელე და რადიოგადაცემები, ქართველ მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ მრავალეროვნულ საბჭოთა კულტურაში.

ქართულ ენაზე გამოცემულია: ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები, სკკ ცენტრალური კომიტეტის ყველა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. ქართულ ენაზე ფართოდ ითარგმნება მსოფლიო, რუსული, სსრ კავშირის სხვა ხალხთა მხატვრული, პოლიტიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურის ნაწარმოებები.

რესპუბლიკაში შექმნილია და მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მთავრობის კომისია; გამოცემულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული; გამოდის ქართული საბჭოთა ენციკლოპედია; გამოიცა მრავალი ლექსიკონი და სხვადასხვა საცნობარო ლიტერატურა.

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ



უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული ენის განვითარებასა და სრულყოფას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა ნაწარმოებების გამოცემამ, „დედაენის“ 100 წლისთავის, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლის „მუშანიკის წამების“ 1500 წლისთავის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 140 წლისთავის ფართოდ აღნიშვნამ, აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლებისა და პოეტების იუბილეებმა, მათი შემოქმედების პროპაგანდამ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებზე ნაყოფიერი სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა წარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებზე, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნის, რათა ყოველმხრივ განვითარდეს ქართული ენა და ლიტერატურა, მთლიანად ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარება და მათი სწავლების გაუმჯობესება.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ საკმარისი არ არის რესპუბლიკის სასწავლებელთა ბევრი მოსწავლის ზეპირი მეტყველებისა და წერითი კულტურის დონე, აგრეთვე ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმე და მოცულობა. პრესაში, ტელე და რადიოგადაცემებში, ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში, კინოფილმსა და თეატრალურ დადგმაში, ფირნიშებში, აფიშებში, სარეკლამო გამოცემებსა და სხვ. არის ლიტერატურული ქართული ენის დამახინჯების ფაქტები.

სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს სასწავლო პროგრამების ნაწილი და მთელი რიგი სახელმძღვანელოები; ხშირად გაკვეთილს საკმარისად ვერ იყენებენ სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპის მუდმივი განხორციელებისათვის, მოსწავლეთა მაღალი იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური თვისებების ჩამოყა-

ლობისათვის; ბევრ შემთხვევაში ლიტერატურული მასალის სწავლების დროს შეიმჩნევა პრიმიტივიზმი, პროვინციალიზმი, უპატივცემლო დამოკიდებულება ქართული ენის სიწმინდისადმი, რაც ხელს უშლის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების ღრმა შესწავლასაც.

ამავე დროს ზოგან ჯეროვნად არ ესმით, რომ ლიტერატურისა და მშობლიური ენის განვითარების კანონების ღრმა ცოდნა კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს რუსული და სხვა ენების საფუძვლიან შესწავლას. დაბალია ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებლის კვალიფიკაცია. მაგალითად, ატესტაციის შედეგებით, 2.714 მასწავლებლიდან დაკავებულ თანამდებობას მთლიანად შეესაბამება მხოლოდ 1.912, რაც მოწმობს, რომ სერიოზული ნაკლოვანებებია მასწავლებელთა კადრების მომზადება-გადამზადებასა და იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში.

ბევრ სასწავლებელში ცუდად არის მოწყობილი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები; ზოგიერთი მასწავლებელი, განსაკუთრებით დაწყებითს კლასებში, არ სარგებლობს თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალითა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ცუდად ხელმძღვანელობს მოსწავლეთა კითხვას და უინტერესოდ წარმართავს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას; საკმარისი ყურადღება არ ეთმობა წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარებას სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გაკვეთილებზე; ქართულ ენაზე უხარისხოდ არის თარგმნილი ზოგიერთი სახელმძღვანელოც.

გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად, ნაკლოვანებანი აქვს აფხაზური, ოსური, სომხური და აზერბაიჯანული ენებისა და ლიტერატურის სწავლებას რესპუბლიკის შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:
 - ა) 1979 წელს დაამთავროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სასწავლო პროგრამების შედგენა, რათა ისინი საჭირო მოცულობით შეიცავდნენ



გრამატიკულ და ლიტერატურულ მასალას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის აღზრდას, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარებასა და სწორ ორიენტირებას პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებში, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცნებებში;

ბ) უზრუნველყოს 1980—1981 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენა და აპრობაცია, აგრეთვე სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ქრესტომათიის გამოცემა;

გ) მიაღწიოს იმას, რომ ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შეიქმნას ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები და აღჭურვოს ისინი საჭირო მოწყობილობით, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალითა და სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით;

დ) გააძლიეროს სახალხო განათლების ორგანოების, მეთოდოლოგიური კაბინეტების, სასწავლებლების ხელმძღვანელთა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ამ საგნის სწავლების დაყენების მდგომარეობისათვის, ამასთან მიაღწიოს თითოეული გაკვეთილის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომ ყოველმხრივ ამაღლებას, რათა სტიმული მიეცეს მოსწავლეთა გააზრებულ საქმიანობას პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის ღრმა და მტკიცე ათვისების საფუძველზე;

ე) უზრუნველყოს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკის შემდგომი სრულყოფა და განაგრძოს მუშაობა პედაგოგთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის;

ვ) მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, დააყენოს ეს პრობლემა ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე, ამასთან პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჩააბას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის სრულყოფის აქტუალურ პრობლემათა შემუშავებაში;

ზ) მიღებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



წინადადება, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ განყოფილებაში შეიქმნას ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

2. წინადადება მიეცეთ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, იმ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რომლებსაც აქვთ სომხური და აზერბაიჯანული სკოლები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა მშობლიური ენებისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის.

საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებას, შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) შეისწავლოს სასწავლო გეგმების სრულყოფის შესაძლო გზების საკითხი იმ ანგარიშით, რომ როგორც სპეციალური, ისე არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებმა უფრო ღრმად შეისწავლონ ქართული ენისა და ლიტერატურის შესაბამისი კურსი;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკისა და სტაჟირების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი;

გ) აამაღლოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების ხარისხისადმი, გააძლიეროს მომთხოვნელობა სტუდენტებისადმი და განახორციელოს ღონისძიებანი მათი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების გაუმჯობესებისათვის.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდური და სხვა ლიტერატურის, მათ შორის სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის მხატვრული ლიტერატურის დროული და

ხარისხოვანი გამოცემა როგორც შინაარსის, ისე გაფორმების საზრისით.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იხილავს და დადებითად წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორცაა :

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემის დაფინანსება;

ბ) ქართულ ენაზე შესრულებულ სადისერტაციო სამუშაოთა რუსულ ენაზე თარგმნილი მასალების დაფინანსება;

გ) საჭირო საშტატო ერთეულების გამოყოფა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებებისათვის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ და „რუსკი იაზიკ ვ გრუზინსკოი შკოლე“.

6. დაევალოთ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რომ სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები და მოაწიონ მიზნობრივი გადაცემები ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემებზე, რეცენზიები ქართული ენისა და ლიტერატურის დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომებისა და გამოკვლევების შესახებ.

7. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი ამ დადგენილებით დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი **ე. შეპვარდნაძე**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე**

კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფის მიზნით, ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა ზეპირი მეტყველებისა და წერიტი კულტურის დონე, ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმე და მოცულობა.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა დაწყებით კლასებში, სადაც მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს სწრაფი კითხვა, გამართული მეტყველება, ლამაზად, სუფთად და შინაარსიანად წერა, რაც უარყოფითად მოქმედებს შემდგომში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილის თეორიული მომზადება და პედაგოგიური დახელოვნების დონე ვერ უპასუხებს დღეის სწავლებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ყველგან არ არის დანერგილი სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, გაკვეთილი ყოველთვის არ არის გამოყენებული სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპის მუდმივი განხორციელებ-

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფის მიზნით, ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა ზეპირი მეტყველებისა და წერითი კულტურის დონე, ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმე და მოცულობა.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა დაწყებით კლასებში, სადაც მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს სწრაფი კითხვა, გამართული მეტყველება, ლამაზად, სუფთად და შინაარსიანად წერა, რაც უარყოფითად მოქმედებს შემდგომში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილის თეორიული მომზადება და პედაგოგიური დახელოვნების დონე ვერ უპასუხებს დღეის სწავლებისადმი გაზრდილ მოთხოვნებს. ჯერ კიდევ ყველგან არ არის დანერგილი სწავლების თანამედროვე მეთოდები და ხერხები, გაკვეთილი ყოველთვის არ არის გამოყენებული სწავლებისა და აღზრდის ორგანული ერთიანობის პრინციპის მუდმივი განხორციელებ-

ზისათვის, მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური ზრდისათვის.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ცოდნის დამოუკიდებლად შეძენისა და წიგნზე მუშაობის უნარ-ჩვევათა გამომუშავებას, ლიტერატურისა და ენის შესწავლისადმი მოსწავლეთა მიდრეკილებების განვითარებას, ფაკულტატიური და გაღრმავებული სწავლების, კლასგარეშე მუშაობის უნარიანად ორგანიზებას, განმავითარებელი სწავლების პრინციპების დანერგვას.

საფუძვლიან გადამუშავებას საჭიროებს სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, „მეთოდოლოგიური მითითებები წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმათა შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ და სხვ. მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არ არიან საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ლიტერატურით, მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, სასწავლო-დიდაქტიკური მასალით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით. საკმაო რაოდენობითა და ტირაჟით არ იცემა პროგრამით გათვალისწინებული დიდტანიანი ნაწარმოებები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. ბევრ სკოლაში ცუდად არის მოწყობილი ან საერთოდ არ არის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები. ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა დაწყებით კლასებში.

რესპუბლიკაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას ერთგვარად ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ სწავლების პროცესში მასწავლებელს არ აქვს საკმაო რაოდენობის სათანადო თვალსაჩინო მასალა ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგებიდან, რომლის პირველწყაროდ სასკოლო პროგრამებში შემავალ ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები იქნებოდა გამოყენებული.

ფორმალურ ხასიათს ატარებს სასკოლო, სარაიონო და საქალაქო საგნობრივი კომისიების, მეთოდგაერთიანებების მუშაობა. სუსტია მათ საქმიანობაზე მეთოდური კაბინეტების ხელმძღვანელობა და კონტროლი. სათანადო ყურადღება არ ექცევა სწავლების ახალი, ეფექტური ფორმებისა და მეთოდების ძიებას, მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებასა და დანერგვას. რესპუბლიკაში არ არსებობს საყრდენი სკოლები, რომელთა მეშვეობითაც უნდა ეწე-

ოდეს დახმარება მასობრივი სკოლების მასწავლებლებს დედაე

და ლიტერატურის სწავლების საუკეთესო გამოცდილების ჩვენებით. გაუმჯობესებას საჭიროებს მოსწავლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის საქმე, მისი დაფუძნება იმ ნიადაგზე, რომ გატარებული ღონისძიებების მეშვეობით მასწავლებელს სასარგებლო პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ეძლეოდეს სტიმული ბეჭითად იმუშაოს საკუთარ თავზე, ეძიოს, იკვლიოს და სწორად გაიგოს გზა სწავლების პროცესში.

ყველა სკოლაში არ არის შექმნილი ერთიანი ენობრივი რეჟიმი. საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობისა და სხვა საგნების მასწავლებელთა ერთი ნაწილი საფუძვლიანად ვერ ფლობს სალიტერატურო ენას და როგორც ზეპირი, ისე წერიითი მეტყველების დროს უშვებს შეცდომებს, რითაც ზიანს აყენებს მოსწავლეთა ენობრივი კულტურის ამაღლების საქმეს. მნიშვნელოვანი ენობრივი ხარვეზებია ორიგინალურ და თარგმნილ სახელმძღვანელოებშიც.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები ვერ კიდევ სუსტად მუშაობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ დედაენა და ლიტერატურა, როგორც სწავლების საძირკველი, საჭიროებს ერთიან მტკიცე ხელმძღვანელობას, სკოლის თითოეული მუშაკის ჩაყენებას მის სამსახურში, წიგნიერების საერთო ღონის განმტკიცების, კითხვის კულტურის იქამდე ამაღლებას, რომ მოსწავლეს წიგნის კითხვა, სწორი, გამართული ზეპირი და წერიითი მეტყველება თანდათანობით ექცეს შინაგან მოთხოვნილებად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საჭირო დახმარებას ვერ უწევს რესპუბლიკის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, კვლევით თემატიკაში ნაკლებად ითვალისწინებს ქართულსა და არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალურ პრობლემებს.



ოდეს დახმარება მასობრივი სკოლების მასწავლებლებს დედაენაში და ლიტერატურის სწავლების საუკეთესო გამოცდილების ჩვენებით.

გაუმჯობესებას საჭიროებს მოსწავლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის საქმე, ამისი დაფუძნება იმ ნიადაგზე, რომ გატარებული ღონისძიებების მეშვეობით მასწავლებელს სასარგებლო პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ეძლეოდეს სტიმული ბეჭითად იმუშაოს საკუთარ თავზე, ეძიოს, იკვლიოს და სწორად გაიგოს გზა სწავლების პროცესში.

ყველა სკოლაში არ არის შექმნილი ერთიანი ენობრივი რეჟიმი. საბუნებისმეტყველო-მათემატიკური, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობისა და სხვა საგნების მასწავლებელთა ერთი ნაწილი საფუძვლიანად ვერ ფლობს სალიტერატურო ენას და როგორც ზეპირი, ისე წერიტი მეტყველების დროს უშვებს შეცდომებს, რითაც ზიანს აყენებს მოსწავლეთა ენობრივი კულტურის ამაღლების საქმეს. მნიშვნელოვანი ენობრივი ხარვეზებია ორიგინალურ და თარგმნილ სახელმძღვანელოებშიც.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ დედაენა და ლიტერატურა, როგორც სწავლების საძირკველი, საჭიროებს ერთიან მტკიცე ხელმძღვანელობას, სკოლის თითოეული მუშაკის ჩაყენებას მის სამსახურში, წიგნიერების საერთო დონის განმტკიცების, კითხვის კულტურის იქამდე ამაღლებას, რომ მოსწავლეს წიგნის კითხვა, სწორი, გამართული ზეპირი და წერიტი მეტყველება თანდათანობით ექცეს შინაგან მოთხოვნილებად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საჭირო დახმარებას ვერ უწევს რესპუბლიკის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, კვლევით თემატიკაში ნაკლებად ითვალისწინებს ქართულსა და არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალურ პრობლემებს.



გაუმჯობესებას მოითხოვს აგრეთვე რესპუბლიკის პედაგოგიური პრესის (გაზეთი „სახალხო განათლება“, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“) მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისადმი კვალიფიციური დახმარების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

განათლების სამინისტროს კოლეგიას მიაჩნია, რომ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული დედაენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების პერსპექტივები; ნათქვამია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების არსებითად გაუმჯობესება არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საერთო ღირსების საქმე, განათლების ფრონტის დიდი მოვალეობა, რადგან ჩვენი ხალხის შემდგომი სულიერი და ინტელექტუალური წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია იდეოლოგიური თვალსაზრისით ას ცოდნა, რასაც სკოლა აძლევს მოზარდს, რამდენად მტკიცეა და გამართული ის ენობრივ-გამომსახველობითი ფორმები, რომელთა მეშვეობით მომავალი თაობა უნდა მოემსახუროს ჩვენს მარად წინმავალ, შეუწყვლელად განვითარებადი სახალხო მეურნეობის მრავალფეროვან დარგებს, თავისი მოქალაქეობრივი როლი შეასრულოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კოლეგია რწმუნას გამოთქვამს, რომ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მტკიცე სამოქმედო პროგრამად დაედება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობას და მის შესასრულებლად მჭიდროდ დაირაზმება განათლების დარგის ყველა მუშაკი.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:



1.1. სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა წარმართონ სსრკ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა ისტორიულ გადაწყვეტილებების, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილების „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად.

1.2. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება მტკიცედ დაუქვემდებარონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

ხელი შეუწყონ მოსწავლეთა ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურის ამაღლებას, ქართული ლიტერატურის ცოდნის სიღრმისა და მოცულობის ზრდას; მიიღწიონ იმას, რომ დაწყებითი კლასებიდანვე მკვიდრი საფუძველი ჩაეყაროს მოსწავლეთა თანამიმდევრულ ლოგიკურ აზროვნებას, სწრაფი, გამომეტყველებითი კითხვის, ლამაზად, სუფთად და შინაარსიანად წერის უნარ-ჩვევითა ჩამოყალიბებას.

1.3. ქართული ენის სწავლება წარმართონ მხატვრული ლიტერატურული მასალის ეფექტური გამოყენების საფუძველზე. ვაკვეთილებზე, როგორც ენის, ისე ლიტერატურის სწავლების პროცესში, მოსწავლეთა აზროვნების აქტივიზაციისათვის, მათი ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის შემოქმედებითად გამოიყენონ ქართული კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. თავიანთ მუშაობაში მკვიდრი ადგილი მიუჩინონ ისეთ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებს, როგორცაა ლიტერატურული ექსკურსიები, ოლიმპიადები, დისპუტები, ლიტერატურული გასამართლებები, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან, პოეტებთან, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან. უშუალო მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა ლიტერატურული კედლის გაზეთების, ხელნაწერი ჟურნალების მომზადებაში.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებმა:

2.1. გააუმჯობესონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, უფრო ეფექტური გახადონ საგნობრივი მეთოდგაერთიანების საქმიანობა. სისტემატურად იზ-

რუნონ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური, მეცნიერული პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებასათვის.

2.2. მიიღონ ქმედითი ზომები ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების და კლას-კაბინეტების შესაქმნელად, აღჭურვონ ისინი სათანადო ლიტერატურით, თვალსაჩინოებით, თანამედროვე სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

2.3. იბრძოლონ სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასამკვიდრებლად, რეაგირების გარეშე არ დატოვონ სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის არცერთი შემთხვევა, მტკიცედ დაიცვან ქართული ენის სიწმინდე ზეპირმეტყველებაში, კედლის გაზეთებსა და ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალებში, ყველა სასკოლო დოკუმენტში.

3. აუხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

3.1. შექმნან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის საჭირო სასწავლო-მატერიალური ბაზები. ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს სარაიონო (საქალაქო) მეთოდ-გაერთიანებების მუშაობის ორგანიზებისა და სრულყოფის საქმეში. უფრო ეფექტურად გამოიყენონ მეცადინეობის ისეთი ფორმები, როგორცაა ფაკულტატივი და გაღრმავებული სწავლება.

3.2. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს დაინიშნონ მხოლოდ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პირები, ხოლო ისინი, ვისაც არ აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება, მაგრამ ეწევიან პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას, ჩააბან უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში.

3.3. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მეთოდური დახმარების გაუმჯობესების მიზნით შეარჩიონ რაიონში (ქალაქში) საყრდენი სკოლები, დააკომპლექტონ ისინი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, აღჭურვონ სასწავლო კაბინეტები თანამედროვე, სწავლების ტექნიკური საშუალებებით და სხვა თვალსაჩინო მასალით, რათა აღნიშნული სკოლები გადააქციონ რა-

იონში (ქალაქში) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის ცენტრად.

4. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ კოლეგიებზე განიხილონ შესაბამისად აფხაზეთური და ოსური ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა. დასახონ ღონისძიებანი მათ გასაუმჯობესებლად.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

5.1. ახალი სასწავლო პროგრამებისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გადაამუშაოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმები და პროგრამები.

მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ლექტორებად მიიწვიოს ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მკვლევარები, ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგებში მომუშავე მეცნიერ მუშაკები.

ფართოდ ჩააბას ქართული ენისა და ლიტერატურის სასკოლო პროგრამების, სახელმძღვანელოების, დამხმარე მეთოდური ლიტერატურის, მითითებების რეცენზირება-განხილვაში ინსტიტუტის მუშაკები.

5.2. შეისწავლოს ქართული ენისა და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობის საკითხი და სათანადო წინადადებები წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

5.3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საკითხი მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შექმნის თაობაზე დასმულია ზემდგომი ორგანოების წინაშე.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

6.1. შეიმუშაოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილების „რესპუბლიკის სასწავლებ-

ლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა ინდივიდუალურ სამუშაო გეგმებში მეტი ადგილი დაუთმოს ამ საგნების სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაშუქებას, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლების, სწავლებაში ეფექტური მეთოდების გამოყენების, ქართულ-რუსული ენების ურთიერთმიმართების აქტუალურ პრობლემებს.

6.2. აამაღლოს ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის თვალსაჩინოების მომზადებისა, აგრეთვე სასწავლო პროგრამების გადამუშავება-გაუმჯობესების საქმეში.

6.3. მასწავლებელთა დასახმარებლად სისტემატურად მოაწყოს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდოლოგიის სექტორის მუშაკთა გამსვლელი სამეცნიერო-მეთოდური სესიები და კონფერენციები.

გააუმჯობესოს პედაგოგიური კითხვებისა და კონფერენციების თემატიკა, ყოველწლიურად გამოაქვეყნოს მოწონებული მოხსენებები სერიით „მასწავლებელთა გამოცდილებიდან“ და კრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია):

7.1. სისტემატურად გააშუქონ გაზეთსა და ჟურნალის საგნობრივ დამატებებში („დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“) ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური პრობლემები: სასწავლო პროგრამების, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინოებისა და სხვ. შემდგომი სრულყოფა-გაუმჯობესების მიზნით მოაწყონ მათი ფართო განხილვა, დისკუსიები, მეტი ადგილი დაუთმონ მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას.

8. სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):



8.1. უზრუნველყოს განათლების სამინისტროსა და გამსახკომის მიერ დაწესებულ ვადებში ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების, სახელმძღვანელოების, ქრესტომათიების, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის, სერიების: „მოსწავლის ბიბლიოთეკა“, „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“ გამოცემა.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე):

9.1. გამოძებნოს საჭირო ასიგნებანი საყრდენ სკოლებში სანიმუშო-საჩვენებელი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების მოსაწყობად, სასწავლო თვალსაჩინოებით, დიდაქტიკური მასალებითა და თანამედროვე სწავლების ტექნიკური საშუალებებით მათ უზრუნველსაყოფად.

10. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. თ. კერესელიძე):

10.1. შექმნას სპეციალური ფონდი, სასკოლო ავეჯით, თვალსაჩინოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების მიზნობრივად აღჭურვისათვის.

11. კადრების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძე):

11.1. შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის ქართული და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების, უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში იმ მასწავლებელთა ჩაბმის შესახებ, რომელთაც არ აქვთ სპეციალური განათლება, მაგრამ ეწევიან პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საყრდენი სკოლების უზრუნველყოფას კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

12.1. უზრუნველყოს ქართული და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამების მომზადება, ფართო განხილვა და გამოცემა 1979 წლის ბოლოსათვის.

გადაახალისოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭო, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერ-

4594-1

ქ. მარქაშის სახ. საქ. სსრ



8.1. უზრუნველყოს განათლების სამინისტროსა და გამსახვილის მიერ დაწესებულ ვადებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლის პროგრამების, სახელმძღვანელოების, ქრესტომათიების, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის, სერიების: „მოსწავლის ბიბლიოთეკა“, „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“ გამოცემა.

9. საგვეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. თ. ჩიტაძე):

9.1. გამოძებნოს საჭირო ასიგნებანი საყრდენ სკოლებში სანიმუშო-საჩვენებელი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების მოსაწყობად, სასწავლო თვალსაჩინოებით, დიდაქტიკური მასალებითა და თანამედროვე სწავლების ტექნიკური საშუალებებით მათ უზრუნველსაყოფად.

10. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. თ. კერესელიძე):

10.1. შექმნას სპეციალური ფონდი, სასკოლო ავეჯით, თვალსაჩინოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების მიზნობრივად აღჭურვისათვის.

11. კადრების სამმართველომ (ამხ. გ. ფანჩულიძე):

11.1. შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის ქართული და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გაუმჯობესების, უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში იმ მასწავლებელთა ჩაბმის შესახებ, რომელთაც არ აქვთ სპეციალური განათლება, მაგრამ ეწევიან პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საყრდენი სკოლების უზრუნველყოფას კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

12.1. უზრუნველყოს ქართული და არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამების მომზადება, ფართო განხილვა და გამოცემა 1979 წლის ბოლოსათვის.

გადაახალისოს ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭო, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერ-

4594-3

ქ. შარქაის სხ. საქ. სსრ

თად ქართულ და არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებულ ვადებში კოლეგიას წარმოდგენს წინადადებებს აღნიშნული საგნის სახელმძღვანელოების ავტორთა კოლექტივების შესახებ.

12.2. მოცულობის წინასწარი განსაზღვრით გამოაცხადოს დახურული კონკურსი მე-8, მე-9 და მე-10 კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებზე.

პრაქტიკაში დანერგოს პარალელური საცდელი სახელმძღვანელოების გამოცემა. მათ შედგენაში მწერლებთან და მეცნიერებთან ერთად ჩააბას პრაქტიკოსი მასწავლებლები.

12.3. მიიღოს ზომები რუსულიდან თარგმნილი ან გადმოკეთებული სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოების ენის გასაუმჯობესებლად.

12.4. რეგულარულად შეამოწმოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა ქართულ და არაქართულ სკოლებში. შემოწმების შედეგები განიხილოს სპეციალურ თათბირებზე და განათლების სამინისტროს კოლეგიას წარუდგინოს კონკრეტული წინადადებები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

12.5. შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტის შექმნის თაობაზე.

12.6. დააწესოს სისტემატური კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე და შედეგები 1980 წლის ივლისში მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

13. მოწონებულ იქნას ქართულ და არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებანი (თან ერთვის).

14. გამოცემლობა „განათლებამ“ (ამხ. ხ. ბერულავა) შეიმუშაოს პროგრამების, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალების, ლექსიკონების და სხვა სასწავლო ლიტერატურის გამოცემის გეგმა. უზრუნველყოს მათი დროული გამოცემა და მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი.

15. ეთხოვოს პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალურ საბ-



ქოს (ამხ. დ. ლორთქიფანიძე) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დასახმარებლად ყოველწლიურად გამოსცეს ბროშურები 5 სასტამბო თაბახის მოცულობით.

16. ეთხოვოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის (აკად. ე. ხარაძე), საქართველოს მწერალთა კავშირის (ამხ. გრ. აბაშიძე), საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ჯიბლაძე), აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართული ენისა და ლიტერატურის, თვალსაჩინოების, დიდაქტიკური მასალებისა და სხვა მომზადებაში.

17. ეთხოვოს საქართველოს სსრ გამსახკომს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობებს, თავიანთ გეგმებში უფრო ფართო ადგილი დაუთმონ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გათვალისწინებული ლიტერატურის გამოცემას.

18. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ნ. ფოფხაძე), გააფართოოს და კიდევ უფრო ქმედითი გახადოს ტელეკურსების მუშაობა ქართულ ენისა და ლიტერატურაში. ქართული სალიტერატურო ენის, ქართული კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების, ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით სისტემატურად მოაწყოს გადაცემები ქართული და არაქართული სკოლების მოსწავლეთა დასახმარებლად.

19. კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“.

20. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე
მ ი ნ ი ს ტ რ ი

მ. ჭინჭლაძე

რესპუბლიკის დაწესებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების
გაუმჯობესების ღონისძიებანი

№	ღონისძიებათა დასახელება	შემსრულებელი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების ვალი
1	დედაენა, ანბანი, საკითხავი წიგნი— გადამუშავება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერე- ბათა ს/კ ინსტიტუტი, პუშ- კინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979 წელი
2	დედაენაში წინასაანბანო სეარჯიშო- ების მომზადება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედა- გოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1980 წელი
3	ქართული ენის გრამატიკის, მართლ- წერის სწავლებისა და მეტყველების გან- ვითარების საკითხებზე დამხმარე სახელ- მძღვანელოს მომზადება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1980 წელი
4	„ქართული წერის დედნის“ ახალი გამოცემის მომზადება	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო,	1980—1982 წლები

1	2	3	4	5
5	კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის კრებულების მომზადება და გამოცემა თითოეული კლასისათვის ცალცალკე	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1983 წლები
6	სასკოლო განმარტებითი ლექსიკონის შედგენა და გამოცემა (ცნობარი მასწავლებელთათვის)	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1982 წლები
7	ქართული ენის სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა და გამოცემა (ცნობარი მოსწავლეთათვის)	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1983 წლები
8	მონოგრაფიის — ი. გოგებაშვილის „დედაენა“ — მომზადება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1983 წლები
9	მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სავარაუდო ნორმების გადამუშავება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პედაგოგიის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1980 წლები
10	ქართული ენის სწავლების მეთოდის გამოცემა დაწვებითი კლასების მასწავლებელთათვის	განათლების სამინისტრო, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1980 წლები

1	2	3	4	5
11	დიდაქტიურ თამაშობათა კრებულის გამოცემა	პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1981 წლები
12	პლაკატებისა და სხვა თვალსაჩინო-დიდაქტიური მასალების მომზადება და გამოცემა	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1979—1981 წლები
13	ასწავლო კინოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივების, კოდოპოზიტივების მომზადებისა და გამოცემის პერსპექტიული გეგმის შემუშავება	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინოფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი	სკოლების სამმართველო	1980—1985 წლები
14	სიუჟეტური სურათები მეტყველების განვითარებისათვის (მოსამზადებელი, 1-ლი, მე-2 და მე-3 კლასებისათვის)	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო	1980 წელი
15	გამომეტყველებითი კითხვის ჩვევების გამოშუქებისათვის სახელმძღვანელოზე დასართავის — „ხზოვანი გვერდების“ გამოცემა	განათლების სამინისტრო, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, ფირმა „მელოდია“	სკოლების სამმართველო	1980 წელი
16	პლაკატები დედაენის ანბანის რიგის მიხედვით (მოსამზადებელი კლასისათვის და სამწლიანი 1 კლასისათვის — ცალცალკე) — მომზადება და გამოცემა	პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1984 წელი

1	2	3	4	5
17	მოძრავი ანბანის გამოცემა მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის ცალკე ცალკე	პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი, გამომცემლობა „განათლება“	სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველო	1980—1985 წლები

**რესპუბლიკის ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების
გაუმჯობესების ღონისძიებანი**

№	ღონისძიებათა დასახელება	შემსრულებელი	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შესრულების ვადა
1	2	3	4	5
1	ქართული ლიტერატურის ამჟამად მოქმედი პროგრამების გადამუშავება და ახალი პროგრამების პროექტის შემუშავება, მათი განხილვის ორგანიზაცია:	განათლების სამინისტრო, საქართველოს მწერალთა კავშირი, რესპუბლიკის შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების კათედრები, პედაგოგიკის მეცნიერებათა ს/კ ინსტიტუტი	სკოლების სამმართველო	1979 წლის IV კვარტალი
2	IV კლასი			
3	V კლასი			
4	VI კლასი			
5	VII კლასი			
6	VIII კლასი			
7	IX კლასი			
8	X(XI) კლასი			

1	2	3	4	5
В общеобразовательных азербайджанских школах Грузинской ССР преподавание родного языка введено с подготовительного класса. В Центральном институте усовершенствования учителей введена штатная единица методиста азербайджанских школ, что значительно улучшило работу по переподготовке учителей. Месячные курсы повышения квалификации прошла определенная часть учителей азербайджанского языка и литературы и учителей начальных классов, изучается и обобщается передовой опыт преподавания азербайджанского языка и литературы в школах, кафедра азербайджанского языка и литературы Тбилисского государственного педагогического института им. А. С. Пушкина держит тесную связь с азербайджанскими школами Марнеульского, Гардабанского, Дманисского, Болнисского, Сагареджойского, Телавского, Лагодехского и других районов, где организуются выездные сессии, посвященные вопросам преподавания азербайджанского языка и литературы, что, естественно, помогает учителям усовершенствовать свое педагогическое мастерство.

Однако в деле преподавания родного языка и литературы в азербайджанских школах республики все еще имеются недостатки. Уровень преподавания родного языка и литературы и качество знаний учащихся стоят не на должном уровне и не отвечают современным требованиям, в результате чего значительная часть выпускников не овладевает прочными знаниями, умениями и навыками в объеме, предусмотренном программами.

Ряд азербайджанских школ не принимает участия в

республиканской олимпиаде по родной литературе, таковы азербайджанские школы Сагареджойского, Лагодехского, Тетрицкаройского и Цалкского районов, которые или вовсе не принимали участия в олимпиаде, или же участвовали лишь 1-2 школьника.

Во многих школах низка эффективность работы методобъединений, руководителями которых не всегда назначаются лучшие учителя, факультативные занятия обычно используются как средство дополнительной учебной нагрузки учителей. Формальный характер носит также работа районных и городских методобъединений. Не на должном уровне стоит руководство их работой и контроль со стороны районных (городских) методкабинетов, не уделяется внимание поиску новых, эффективных форм и методов обучения; малоэффективна работа по обобщению и внедрению передового педагогического опыта. В республике нет опорных школ, на учебно-материальной базе которых оказывалась бы методическая помощь учителям других школ.

Не во всех школах имеются кабинеты азербайджанского языка и литературы, а имеющиеся кабинеты плохо оборудованы, на уроках родного языка недостаточно используются технические средства обучения.

Не налажено снабжение школ учебными кино-и диафильмами, грампластинками на азербайджанском языке, не хватает дидактических материалов, наглядных и методических пособий по родному языку и литературе.

В течение ряда лет школьные библиотеки не пополняются методической, общественно-политической, научно-популярной и особенно художественной литературой на родном языке. Учителя азербайджанского языка и литературы не имеют возможности путем подписки получать методический сборник «Преподавание азербайджанского языка и литературы», выпускаемый ежеквартально в Баку.

Отмеченные недостатки объясняются тем, что опреде-



ленная часть учителей азербайджанского языка и литературы по уровню своей теоретической подготовки и педагогического умения не отвечают возросшим требованиям к преподаванию родного языка и литературы.

Еще не везде в школах внедрены современные методы преподавания, уроки не всегда строятся по принципу единства обучения и воспитания.

Не проводится соответствующая работа по изучению, обобщению и распространению передового опыта учителей азербайджанского языка и литературы и не организуется обмен опытом между учителями азербайджанских школ республики. Не все учителя родного языка и литературы прошли курсы повышения квалификации.

Отмеченные недостатки в деле преподавания родного языка и литературы в азербайджанских школах объясняются слабой работой местных органов народного образования: отсутствуют единые требования, направленные на коренное улучшение изучения родного языка и литературы, повышение уровня самообразования и профессионального мастерства учителей.

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР решает:

1. Заведующим отделами народного образования Гардабанского, Болнисского, Дманисского, Марнеульского, Лагодехского, Сагареджойского районов, начальнику Управления народного образования города Тбилиси:

1.1. Усилить действенность внутришкольного и инспекторского контроля за преподаванием родного языка, обеспечить оперативное устранение выявленных недостатков, больше внимания уделять качественной стороне знаний, воспитывающему обучению;

1.2. Повысить ответственность дирекций школ за состоянием преподавания родного языка и литературы в азербайджанских школах, добиваться, чтобы учителя систематически

работали над повышением своего идейно-политического уровня и профессиональной квалификации;

1.3. Улучшить работу инспекторов и методистов по изучению, обобщению и внедрению передового педагогического опыта, с тем чтобы повысить эффективность преподавания родного языка в азербайджанских школах республики;

1.4. Не допускать назначения учителями начальных классов и учителями азербайджанского языка и литературы лиц, не имеющих высшего или среднего специального педагогического образования;

1.5. Во всех школах создать кабинеты родного языка и литературы с необходимым оборудованием, пополнить их учебно-наглядными и дидактическими материалами, современными техническими средствами обучения.

2. Управлению учебников и библиотечных фондов (тов. Н. Глonti):

2.1. Обеспечить азербайджанские школы республики учебными программами и учебниками к началу учебного года. Своевременно заказать методические пособия для учителей и дидактические материалы на 1980 год;

2.2. Запланировать на 1979—1980 учебный год проверку состояния библиотечных фондов школьных учебников в азербайджанских школах 2-3-х районов республики;

2.3. Принять меры по улучшению снабжения школьных библиотек программой художественной, научно-популярной литературой на азербайджанском языке.

3. Главному управлению снабжения (тов. О. Кереслидзе):

3.1. Решить вопрос о централизованном снабжении азербайджанских школ кинофильмами, диафильмами, диапозитивами, грампластинками, выпускаемыми в Азербайджанской ССР для учителей азербайджанского языка и литературы.

4. Управлению кадров (тов. Г. Панчулидзе) совместно с

Планово-финансовым управлением (тов. Т. Читадзе):

4.1. Изучить состояние обеспеченности азербайджанских школ педагогическими кадрами (в особенности учителями родного языка и литературы), рассчитать их потребность и соответственно поставить вопрос перед Министерством высшего и среднего специального образования и Госпланом Грузинской ССР об увеличении приема студентов в вузы Азербайджанской ССР с целью кооперированной подготовки специалистов для азербайджанских школ.

5. Центральному институту усовершенствования учителей (тов. М. Дарчия):

5.1. Предусмотреть увеличение числа учебных групп на курсах повышения квалификации учителей азербайджанского языка и литературы, а также учителей начальных классов азербайджанских школ до 3-4 в год. Шире практиковать приглашение из Азербайджана высококвалифицированных специалистов для чтения лекций на курсах.

6. Управлению школ (тов. К. Суджашвили):

6.1. Разработать план мероприятий по дальнейшему совершенствованию изучения и преподавания родного языка и литературы в азербайджанских школах;

6.2. Обеспечить временную разработку учебных программ для подготовительных классов азербайджанских школ;

6.3. Организовать базовые опорные школы по изучению родного языка и литературы в азербайджанских школах Болнисского, Дманисского, Марнеульского, Гардабанского районов;

6.4. Периодически изучать вопрос преподавания родного языка и литературы в азербайджанских школах и выносить вопрос на коллегия Министерства просвещения Грузинской ССР.

7. Просить Министерства связи Азербайджанской и Грузинской ССР разрешить вопрос подписки учителями азербайджанских школ Грузии на методическое приложение



«Преподавание азербайджанского языка и литературы в школе».

8. Настоящее решение обсудить на советах отделов народного образования городов и районов, в которых имеются азербайджанские школы, а также на педагогических советах азербайджанских общеобразовательных школ.

9. Настоящее решение опубликовать в Сборнике приказов и инструкций Министерства просвещения Грузинской ССР.

10. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление школ (тов. К. Суджашвили).

**Председатель коллегии
Министр**

О. КИНКЛАДЗЕ



რუსული და უცხოური ენების სწავლების სრულყოფისათვის
წარმოებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შემდგომი გაფართოვ-
ების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 31
ოქტომბრის № 747 ბრძანებისა და 1978 წლის 29 სექტემბრის გა-
დაწყვეტილების შესასრულებლად თბილისის 1-ლ ექსპერიმენ-
ტულ, 147-ე, მცხეთის რაიონის მუხრანის, ბათუმის 22-ე და ქობულ-
ეთის რაიონის ხუცუბნის საშუალო სკოლებში ორი სასწავლო
წლის განმავლობაში რუსული და უცხოური ენების სწავლების შემ-
დგომი სრულყოფის მიზნით ტარდებოდა პედაგოგიური ექსპერიმენ-
ტი.

გაეცნო რა ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შესა-
ხებ ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიე-
რო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დაჯამებულ და გაანალიზებულ
შედეგებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია
მიზანშეწონილად მიიჩნევს ექსპერიმენტის გაფართოებას.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. თბილისის 1-ლ ექსპერიმენტულ, 147-ე, მცხეთის რაიონის
მუხრანის, ბათუმის 22-ე და ქობულეთის რაიონის ხუცუბნის სა-
შუალო სკოლებში გაგრძელდეს რუსული და უცხოური ენების სწავ-
ლების შემდგომი სრულყოფისათვის წარმოებული ექსპერიმენტი
მოსწავლეთა იმ კონტინგენტთან, რომელთანაც აღნიშნული მუშაო-
ბა მიმდინარეობდა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებმა,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, გურჯაანის, დუშე-
თის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლენტეხის, მცხეთის, ონის, საგარე-
ჯოს, ტყიბულის, ჩოხატაურის რაიონების განათლების განყოფილე-
ბებმა შეარჩიონ თითო სოფლის სკოლა და მის ერთ-ერთ მე-4 კლას-
ში 1979—1980 სასწავლო წლიდან შემოიღონ რუსული ენის ექს-
პერიმენტული სწავლება, ხოლო 1980—1981 სასწავლო წლიდან

ამავე კლასში ექსპერიმენტის წესით სწავლება გააგრძელონ რუსული და უცხოურ ენებში.

3. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და საბიბლიოთეკო ფონდების სამმართველომ (ამხ. ნ. ლლონტი) 1979—1980 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უზრუნველყოს ამ ექსპერიმენტის გაფართოებასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამზადებული მეთოდური მითითებებისა და რეკომენდაციების დაბეჭდვა.

4. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია) ჟურნალში და შესაბამისი დამატებების მესამე კვარტალის ნომრებში დაბეჭდოს ზემოაღნიშნული მითითებებისა და რეკომენდაციების შემოკლებული ვარიანტები.

5. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს იმ სკოლებისა და კლასების მასწავლებლებს, სადაც განხორციელდება რუსული და უცხოური ენების ექსპერიმენტის წესით სწავლება და მისი პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებით წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა ექსპერიმენტის შემდგომი გაფართოების საჭიროებაზე. ამასთან, მიმდინარე წლის 23-24-25 აგვისტოს ჩაატაროს შერჩეული სკოლის ხელმძღვანელებისა და რუსული ენის მასწავლებელთა 3-დღიანი სემინარი.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) განახორციელოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე
მ ი ნ ი ს ტ რ ი

ო. ჭინქლაძე

РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА
ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



О расширении педагогического эксперимента с целью дальнейшего совершенствования обучения русскому и иностранным языкам

19 июля 1979 года

Во исполнение приказа Министерства просвещения Грузинской ССР № 747 от 31 октября 1977 года и решения коллегии от 29 сентября 1978 года в Тбилисской 1-ой экспериментальной и 147-ой, Мухранской Мцхетского района, Батумской 22-ой, Хуцубанской Кобулетского района средних школах в течение 2-х лет с целью дальнейшего совершенствования обучения русскому и иностранным языкам проводился педагогический эксперимент.

Ознакомившись с анализом и результатами экспериментальной работы, представленными НИИ педагогических наук им. Я. Гогешашвили, коллегия Министерства просвещения ГССР считает целесообразным расширить эксперимент.

Коллегия решила:

1. С целью дальнейшего совершенствования обучения русскому и иностранным языкам в Тбилисской 1-ой экспериментальной, 147-ой, Мухранской Мцхетского района и Хуцубанской Кобулетского района средних школах продолжить эксперимент с тем контингентом учащихся, с которым указанная работа проводилась.

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской автономной области, Горийского, Гурджаанского, Душетского, Зестафонского, Зугдидского, Лентехского, Мцхетского, Онского, Сагареджойского, Ткибульского, Чохатаурского районов подобрать по одной сельской школе, где с 1979—1980

учебного года в одном из 4-х классов будет введено экспериментальное изучение русского языка, а с 1980—1981 учебного года в том же классе будет продолжено экспериментальное изучение русского и иностранного языков.

3. Управлению учебников и библиотечных фондов Министерства просвещения (тов. Н. Глонти) к началу 1979—1980 учебного года, в связи с расширением указанного эксперимента, обеспечить печатание методических указаний и рекомендаций, разработанных Научно-исследовательским институтом педагогических наук им. Я. Гогешашвили.

4. Редакции «Скола да цховреба» (тов. Г. Саджая) в номерах журнала и соответственно в его приложениях, выходящих в третьем квартале, напечатать сокращенные варианты вышеупомянутых методических указаний и рекомендаций.

5. Научно-исследовательскому институту педнаук им. Я. Гогешашвили (тов. Г. Сакварелидзе) оказать методическое руководство и помощь учителям тех школ и классов, где будет осуществляться изучение русского и иностранного языков в порядке эксперимента, и, учитывая его практические результаты, представить обоснованное заключение о дальнейшем расширении эксперимента.

Вместе с тем 23-24-25 августа текущего года провести 3-х дневный семинар для учителей русского языка и руководителей подобранных школ.

6. Управлению школ (тов. К. Суджашвили) осуществить контроль за выполнением настоящего решения.

**Председатель коллегии
Министр**

О. КИНКЛАДЗЕ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1979 წლის 20 ივლისის ბრძანება № 443

სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის მიერ 1979 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1979 წლის 15 ივნისის დადგენილებას „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცნების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“.

„საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პატარიძის მოხსენება „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“ აღნიშნავს, რომ მოზარდი თაობის აღზრდასა და ჯანმრთელობაზე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად რესპუბლიკაში წარმატებით სრულდება სკოლამდელი საზოგადოებრივი აღზრდის განვითარების პროგრამა; ფართოვდება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი, მტკიცდება მათი სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღლდება აღმზრდელობითი მუშაობისა და მომსახურების დონე, უმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის მაჩვენებელი. 1971—1978 წლებში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით რეს-



პუბლიკაში 41.883 ბავშვისათვის აშენდა სკოლამდელი დაწესებულებები, მათ შორის სოფლად — 13.309 ბავშვისათვის. ამჟამად რესპუბლიკაში 2.103 სკოლამდელი დაწესებულებაა 160.907 ბავშვისათვის.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საგრძნობლად გააძლიერეს ყურადღება სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობისადმი, ახალი ბავშვების მშენებლობის საქმეში ფართოდ მონაწილეობენ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი და სამედიცინო მომსახურების საქმის უკეთ წარმართვისათვის. საგრძნობლად გაუმჯობესდა ბავშვთა ფიზიკური განვითარება, შემცირდა ავადობის მაჩვენებელი: მეტი ყურადღება ექცევა ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, ამალდა პედაგოგ-აღმზრდელთა მომზადების დონე, გაფართოვდა კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქსელი, განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეიქმნა სათანადო მეთოდოლოგიური გაერთიანებები და სახაზო დაწესებულებები.

უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა საშეფო მუშაობა. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკის უსინათლოთა საზოგადოების, ქ. თბილისის ელექტრომემდულებელი მოწყობილობის ქარხნისა და სხვა შეფი ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებითა და სათამაშოებით უზრუნველყოფაში.

ამასთან ერთად სესია აღნიშნავს, რომ სკოლამდელი აღზრდის საქმეში ბევრია გადაუჭრელი საკითხი, სერიოზული ნაკლოვანებები: რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი და მისი გაფართოების ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ

მოთხოვნილებას, რაც საგრძნობლად უშლის ხელს როგორც ბავშვებს, შეთა საზოგადოებრივ აღზრდასა და სკოლისათვის მათ მომზადებას, ისე ქალთა აქტიურად ჩაბმას შრომითს საქმიანობაში.

სავეგმო ორგანოები და საპროექტო ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების კომპლექსის მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების დროს ხშირად არ ითვალისწინებენ სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას.

ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების საკითხებისადმი უყურადღებობის გამო რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქები და რაიონები ამ დაწესებულებების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ამის გამო სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვთაგან ამ დაწესებულებებში დადის მხოლოდ 160.907 ბავშვი, იმ დროს, როდესაც იგივე მაჩვენებელი საკავშირო მასშტაბით 41 პროცენტს აღწევს.

არ შესრულდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობის მეათე ხუთწლედის სამი წლის გეგმა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა მხოლოდ 97 პროცენტით შეასრულა. მსუბუქი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამუშავებითი მრეწველობის, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სამინისტროები წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის განვითარების გეგმებს. რესპუბლიკის ბავშვთა დაწესებულების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მოთავსებულია უვარგის და შეუფერებელ, ავარიულ ან კერძო პირებისაგან დაქირავებულ შენობებში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, ორჯონიკიძის, დუშეთის, ცაგერის, მცხეთის და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

არის შემთხვევები, როცა ერთ სააღმზრდელო ჯგუფში ჩარიცხულია 50-60 ბავშვი, ნაცვლად ნორმით დაწესებული 25 ბავშვი-

სა. ყოველივე ეს სერიოზულად აფერხებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურ წარმართვას, სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას, უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ კოლმეურნეობებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის.

ნაკლოვანებებია სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარით, ავეჯით, სათამაშოებითა და თვალსაჩინო სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში. ხარვეზებია ბავშვთა კვების ორგანიზაციაში. ბევრ სკოლამდელ დაწესებულებას აკლია სამზარეულოებისა და სასადილოებისათვის საჭირო ინვენტარი და ტექნიკური მოწყობილობა. კვების პროდუქტებით მომარაგებაში შეინიშნება ერთფეროვნება და შეფერხება, ირღვევა დაწესებული ნორმისა და ასორტიმენტის შესაბამისად ბავშვთა კვება, არის ახალი ბოსტნეულისა და ხორცის ნაკლებობის შემთხვევები, გაუმჯობესებას მოითხოვს კვების პროდუქტების შეზიდვის ორგანიზაციისა და ამ დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმე.

რესპუბლიკის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭირო ყურადღებითა და პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების საკითხების დროულად მოგვარებას. სათანადოდ არ აფასებენ სახალხო განათლების ამ რგოლის დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ნორჩი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში, არ ახორციელებენ ღონისძიებებს აღნიშნულ დაწესებულებათა ქსელის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის; არადამაკმაყოფი-



ლებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების მოთხოვნები, რომელიც შეეხება მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათავსების გამოყოფას.

რესპუბლიკის განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საქმიანობის სრულყოფას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად; სუსტად ინერგება მეცნიერული რეკომენდაციები და მოწინავე გამოცდილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის, „საბჭოთა კავშირში ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების და მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნას ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების განვითარების დავალებათა განუხრელი შესრულება. ბაგა-ბაღებში ბავშვთა აღზრდისა და მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლება;

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და სხვადასხვა დარგების მომავალი წლების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმების შედგენისას გათვალისწინებულ იქნას ახალი ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობისა და არსებუ-



ლის გაფართოების დაჩქარებული ტემპი, რათა 1985 წლისათვის სკოლის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის დონე გაუთანაბრდეს საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

ამ მიზნით:

1. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— სამინისტროებთან, უწყებებთან, მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან და სამეურნეო ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების პერსპექტიული გეგმები თითოეული დასახლებული პუნქტის მიხედვით,

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების გაფართოება-რეკონსტრუქციის მიშენება-დაშენების გზით, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ჩატარებასა და მათ უზრუნველყოფას ინვენტარითა და ავეჯით; ამასთან ფართოდ გამოიყენონ თანხების კოოპერირების პრაქტიკა;

— უზრუნველყონ საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მოთხოვნათა შესრულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მშენებარე შენობების პირველ სართულებში ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათავსების გამოყოფას;

— განახორციელონ ღონისძიებანი საბავშვო ბაგებისა და ბალების გაერთიანებულ ბაგა-ბალებად, ზოლო, სადაც ამისათვის საჭირო პირობები არსებობს, — საკოლმეურნეო სეზონური საბავშვო ბაგებისა და ბალების მულმივმოქმედ ბაგებად და ბალებად გარდაქმნისათვის;

— მიიღონ ქმედითი ზომები ახალი ობიექტებისათვის მიწის ნაკვეთების დროულად გამოყოფისა და სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების რემონტისა და რეკონსტრუქციის სამუშაოების

დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტებას შესაფერისი კადრებით და ნაყოფიერი მუშაობის გასაწევად მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

— მკაცრი კონტროლი დააწესონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვის საქმესა და განათლების ღონისძიებებზე გამოყოფილი ასიგნებების სრულად ათვისებისადმი; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ბავშვთა კვების გაუმჯობესებისა და საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გაფართოებისათვის: სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მუდმივი აგარაკების ასაშენებლად.

— მიიღონ ზომები, რათა შეფმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააძლიერონ დახმარება ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებისადმი;

— საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობის ცალკეული საკითხები და მიიღონ ქმედითი ზომები მათი მუშაობის დონის ასამაღლებლად; ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების მუდმივი კომისიები, დებუტატები და აქტივი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს აღნიშნული დადგენილებით დასახული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ორი თვის ვადაში შეადგინონ თავიანთი სისტემის სკოლამდელ დაწესებულებათა განვითარებისა და საკუთარი სახსრებით მათი მშენებლობის პერსპექტიული გეგმები იმ ანგარიშით, რომ სრულად უზრუნველყონ თავიანთ საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავეთა ბავშვები საუწყებო სკოლამდელი დაწესებულებებით; სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების მიხედვით რაციონალური დისლოკაციის უზრუნველსაყოფად; |

— გაუძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლამდელ დაწესებულებებს და სათანადო მეთოდოლოგიური დახმარება გაუწიოს საუწყებო სკოლამდელ დაწესებულებებს; იზრუნოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ბავშვთა მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოზარდი თაობის ფიზიკური, შრომითი, ზნეობრივი და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მტკიცე საფუძვლის მომზადებას; საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით განაზოგადოს, გაავრცელოს და დანერგოს პედაგოგიური მეცნიერების მიღწევები, მოწინავე დაწესებულებებისა და მუშაკების მუშაობის დადებითი გამოცდილება;

— კადრების შემადგელობის თვისებრივი სრულყოფის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, განახორციელოს ღონისძიებანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუშაკების გადამზადებისა და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უზრუნველყოს მშრომელთა შორის სამედიცინო და პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის გაძლიერება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

— გადაჭრით გააუმჯობესოს სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობა ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში, უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა; ყველა საბავშვო დაწესებულება, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, დააკომპლექტოს შესაფერისი სამედიცინო პერსონალით არსებული ნორმატივების შესაბამისად და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ბავშვთა სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებისათვის; |

— შეიმუშაოს და მიიღოს საჭირო ზომები მის დაქვემდებარე-

ბაში არსებულ ბავშვთა ბაგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაა-
დაჭრით გაუმჯობესებისათვის.

5. დაევალეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და
ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ ბავშვთა სკოლამდელ დაწე-
სებულებათა შეუფერხებელი მომარაგება მაღალხარისხოვანი კვე-
ბის პროდუქტებით დაწესებული ნორმებისა და ასორტიმენტის შე-
საბამისად; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ
უზრუნველყოფას ახალი ხილითა და ბოსტნეულით, რძის ნაწარმი-
თა და ხორციით. მიიღონ ზომები მსხვილ ქალაქებში ბავშვთა კვების
სამზარეულო-კომბინატების გახსნისათვის; საქართველოს სსრ სა-
ავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად სრულყოფ
პროდუქტების ცენტრალიზებული წესით მიწოდების ორგანიზაცია.

6. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მშენებლობის სამი-
ნისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინის-
ტროს ინიციატივა მიმდინარე წელს გეგმის გადაჭარბებით 9 სკო-
ლამდელი დაწესებულების საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ,
დაევალეთ აღნიშნულ სამინისტროებს მკვეთრად გააუმჯობესონ
მშენებლობის ხარისხი და მომავალ წლებში უზრუნველყონ სკო-
ლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმების უთუო შეს-
რულება.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპი-
ტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ გადაჭრით გააძ-
ლიეროს კონტროლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშე-
ნებლობის მიმდინარეობისადმი, არ დაუშვას ბაგა-ბაღების მოძვე-
ლუბელი პროექტებით მშენებლობა და ამ ობიექტების საექსპლო-
ატაციოდ მიღება მშენებლობის მთელი კომპლექსის დამთავრების
გარეშე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამუშავებითი
მრეწველობის სამინისტროს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი
1982 წლისათვის სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საჭირო ინ-
ვენტარისა და ავეჯის საწარმოს მშენებლობის დასამთავრებლად,
უზრუნველყოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესე-
ბა და ასორტიმენტის გაფართოება იმ ვარაუდით, რომ დააკმაყო-

ფილოს ყველა უწყების მოთხოვნილება საბავშვო ავეჯსა და ინვენტარზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სათამაშოების და ეზოების ინვენტარის დამზადების ხარისხი და გააფართოოს მათი წარმოება.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოველწლიური გეგმების შედგენისას გაითვალისწინოს სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და სათანადო კადრების მომზადების აღნიშნული დადგენილებით დასახული პროგრამის უზრუნველყოფა.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მეთერთმეტე ხუთწლედში უზრუნველყოს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების გადიდება ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა გაზრდილი ტემპით მშენებლობისათვის იმ ვარაუდით, რომ 1985 წლისათვის რესპუბლიკაში ამ დაწესებულებებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე გაიზარდოს 50 პროცენტამდე;

— განიხილოს საკითხი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობისათვის სპეციალიზებული სამშენებლო ტრესტის შექმნის შესახებ.

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დეპუტატები, ფართო აქტივი ძალას, ენერგიას და შესაძლებლობებს არ დაიშურებენ ვ. ი. ლენინის დევიზის — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“ განხორციელებისათვის. ბავშვთა სკოლამდელი და-

წესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჰარმონიულად განვითარებული ჯანსაღი მოძვე-
ლი თაობის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა აღზრდი-
სათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის ზემოაღნიშნული
დადგენილების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მე-
ცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის დადგენი-
ლება „1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან
დაკავშირებით და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომ-
დინარე ამოცანების შესაბამისად ბავშვთა სკოლამდელი დაწესებუ-
ლებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესები-
სათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი
საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ“.

2. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
სესიის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის
მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შემუშა-
ვებულ ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო-
ებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალა-
ქების სახალხო განათლების განყოფილებებმა, განათლების სამი-
ნისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეც-
ნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, მასწავლებელთა დახელოვნების
ცენტრალურმა ინსტიტუტმა, სამინისტროს სამმართველო-განყო-
ფილებებმა:

— თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში მტკიცედ

იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის დადგენილებით და მის შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ღონისძიებათა გეგმით, რომლებიც საფუძვლად დაუდონ თავიანთ ყოველდღიურ კონკრეტულ საქმიანობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სკოლამდელი აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

— ანგარიში საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი გეგმის განხორციელების შესახებ წარმოადგინონ 1980 წლის 1 დეკემბრისათვის.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

— აამაღლონ სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდოლოგიური დახმარების დონე, პერიოდულად შეისწავლონ ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის მდგომარეობა, გაატარონ ღონისძიებები მოწინავე გამოცდილების განხორციელების უზრუნველსაყოფად;

— განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა მომსახურებაზე, უზრუნველყონ მათი ცხოვრების სწორი ორგანიზაცია და გულისხმიერი და მზრუნველი ატმოსფეროს შექმნა;

— რაიონში (ქალაქში) სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისას გაითვალისწინონ მათი რაციონალური დისლოკაცია.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ და სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი, ამხ. თ. ჩუბინიძე) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულებაზე.

6. აღნიშნული ბრძანება, ღონისძიებათა გეგმით, გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება.

მინისტრი

მ. ჭინქლაძე



19 ივლისი, 1979 წელი

კომკლემსური გეგმა

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიის მიერ 1979 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილების სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ

1. სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის, მატერიალური ბაზის, ქსელის განვითარების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო წინადადებების ზემდგომ ორგანოებში წარდგენა.

1979 წლის ივლისი—აგვისტო

**კაპიტალური მშენებლობის განყოფილება,
 საგეგმო-საფინანსო სამმართველო,
 სკოლამდელი აღზრდის სამმართველო,
 კადრების სამმართველო**

2. განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ არსებული სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის მდგომარეობის დაზუსტება და 1979 წლის ბოლოსათვის წინადადებების წარმოდგენა მათი დგამ-ავეჯით, სასწავლო ნივთებით, სათამაშოებითა და დიდაქტიკური მასალებით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

1979 წელი

**აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო,
 აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო,
 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები,
 მომარაგების მთავარი სამმართველო,
 სკოლამდელი აღზრდის სამმართველო**



3. სკოლამდელ დაწესებულებათა აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით ამ დაწესებულებათა პასპორტების შექმნა.

1980 წლის აპრილი—მაისი

საგეგმო-საფინანსო სამმართველო

4. ღონისძიებათა შემუშავება ანომალური ბავშვებისათვის სპეციალიზებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოების შესახებ.

1979 წლის სექტემბერ—ოქტომბერი

საგეგმო-საფინანსო სამმართველო,

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

5. ლექსთა კრებულების „ია“, „საბავშვო ლექსები“, დიდაქტიკური მასალის: „მოდით ვითამაშოთ“, „ბუნების კუთხის ორგანიზაცია საბავშვო ბაღში“, „მიწის ნაკვეთის ორგანიზაცია საბავშვო ბაღში“, „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის“ და სხვ. გამოცემა და სკოლამდელ დაწესებულებებისათვის დაგზავნა.

მომზადდება გამოსაცემად: „ბავშვის სკოლისათვის მომზადდება ოჯახში“, „წესებიანი თამაშები საბავშვო ბაღში“, „მორიგეობა საბავშვო ბაღში“, „ოჯახი და საბავშვო ბაღი“, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შრომითი აღზრდა“, „დიდაქტიკური თამაშობანი საბავშვო ბაღში“, სახელმძღვანელო, პროგრამები, მეთოდური მითითებანი, თვალსაჩინო დიდაქტიკური კომპლექსები რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფებისათვის. „სპორტული მოედნების მოწყობა და იარაღების გამოყენება“, „კვების ორგანიზაცია სკოლამდელ დაწესებულებებში“, „მშობლებთან მუშაობის ფორმები და შინაარსი“, „ხალხური მოძრავი თამაშობები“, „მხატვრულ მასალათა კრებული ადრეული ასაკის ბავშვებისათვის“ და სხვა.

1980—1985 წლები

პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,

სახელმძღვანელოებისა და საბავშვო ფონდების სამმართველო,



მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი,
სკოლამდელი აღზრდის სამმართველო,
სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი

6. მაღალმთიანი რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა სწავლა-აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, აღზრდის პროგრამის სხვადასხვა განყოფის მიხედვით, პედაგოგიური პერსონალისათვის გამსვლელი სესიების, სემინარებისა და კურსების ჩატარება.

1980 წელი

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი,
მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი

7. სკოლამდელ დაწესებულებათა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმება და შემოწმების შედეგების კოლეგიაზე განხილვა; სათანადო ღონისძიებების დასახვა.

1980 წლის აგვისტო

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

8. სანატორიული და სადღეღამისო სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმება და კოლეგიაზე განხილვა; სათანადო ღონისძიებათა დასახვა მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

1979 წლის ნოემბერი

სკოლამდელი აღზრდის სამმართველო

